

„დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა“
შპს „ქ.თბილისის საშუალო სკოლა ლამპარი“-ს
დირექტორატის მიერ 2015 წლის 01 სექტემბრის № ზ-6 ბრძანებით

----- /ლალი გარდაფხაძე/

-----/ნინო ქადაგიძე/

შპს „ქ.თბილისის საშუალო სკოლა ლამპარი“

სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა

და

შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი

2015-2016

სასწავლო წელი

მუხლი 1. რეგულირების სფერო და მიზანი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება შპს „ქ.თბილისის საშუალო სკოლა ლამპარის“ (შემდგომში - სკოლა) „სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები“ ადგენს სკოლის აკადემიური საზოგადოებისა და სკოლის ადინისტრაციის მიერ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების ინსტრუმენტებს და შეფასების პროცედურას.

აღნიშნული მექანიზმების შემუშავების მიზანია სასკოლო სასწავლო გეგმის ეფექტიანობის შეფასება, ხარვეზების გამოვლენა და შემდგომი გაუმჯობესების გზების დასახვა.

მუხლი 2. სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასება

სასკოლო სასწავლო გეგმა არის ის ძირითადი დოკუმენტი, რომლითაც ხელმძღვანელობს სკოლა სასწავლო პროცესის განხორციელებისას. სასკოლო სასწავლო გეგმა სკოლის მიიხიდან გამომდინარე ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით საფეხურების მიხედვით განსაზღვრული მიზნების და ამოცანების შესრულებას. მასში მაქსიმალურად უნდა იყოს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნები გათვალისწინებული და საშუალებას აძლევდეს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები. სასკოლო სასწავლო გეგმა უნდა უქმნიდეს მოსწავლეს პირობებს იმ უნარ-ჩვევების გასავითარებლად, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პიროვნული ჩამოყალიბებისათვის. ასევე, უნდა უქმნიდეს მოსწავლეს სათანადო პირობებს საერთაშორისო სტანდარტის მქონე განათლების მისაღებად და კარიერული წინსვლისთვის სწორი არჩევანის გასაკეთებლად.

სასკოლო სასწავლო გეგმის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მისი შეფასება, არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და გაუმჯობესებაზე ზრუნვა სკოლისთვის არსებითი მნიშვნელობისაა. აქედან გამომდინარე, აღნიშნული კუთხით სკოლა გატარებული იქნება შემდეგი სახის ღონისძიებები:

1. სასწავლო პროცესის მუდმივი კონტროლი;
2. ეროვნულ სასწავლო გეგმაში შესული ცვლილებების ანალიზი და გათვალისწინება სასკოლო სასწავლო გეგმაში;
3. სკოლის მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
4. გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება ახალი სასწავლო წლისთვის სასკოლო სასწავლო გეგმის შედგენისას.

სასწავლო პროცესის მუდმივი კონტროლი ხორციელდება სკოლის დირექტორატისა და ხარისხის მართვის მენეჯერის ხელმძღვანელობით. სკოლაში ტარდება მშობელთა და მასწავლებელთა გამოკითხვები (იხ. კითხვარის ნიმუში დანართის სახით). ამასთანავე, სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მთავარი და უშუალო მონაწილის, მოსწავლის ჩართულობას სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების პროცესში. ამ მიზნით ცალკეული საფეხურების მიხედვით ჩატარდება მოსწავლეთა გამოკითხვები სასწავლო წლის განმავლობაში (იხ. მოსწავლის კითხვარი დანართის სახით). კლასის დამრიგებლებს ევალებათ ორგანიზება გაუწიონ ამგვარ გამოკითხვებს და შედეგები ანგარიშის სახით წარუდგინონ სკოლის დირექტორატს და ხარისხის მართვის მენეჯერს. ისინი ვალდებული არიან მოახდინონ გამოკითხვის შედეგების ანალიზი და გაითვალისწინონ შემდგომ საქმიანობაში. აღნიშნული ანალიზის განხორციელება უნდა იყოს შედეგზე ორიენტირებული, რაც გულისხმობს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის, სასკოლო სასწავლო გეგმის გაუმჯობესების გზების დასახვას.

გარდა გამოკითხვებისა, მასწავლებლების მიერ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასება ხდება წელიწადში ორჯერ, ყოველი სემესტრის ბოლოს წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე. პედაგოგთა ანგარიშების საფუძველზე პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, სკოლის კათედრების რეგულარულ შეხვედრებზე განიხილება სასკოლო სასწავლო გეგმაში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელების თაობაზე წინადადებები.

ყოველივე ზემოთაღნიშნული იძლევა სასწავლო პროცესის შეფასების საშუალებას, ხოლო სასწავლო პროცესის შეფასება, საბოლოო ჯამში, ემსახურება სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებასა და მიღწეული შედეგების გაუმჯობესებას.

მუხლი 3. ცვლილების შეტანა

დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხდება შესაბამისი წინადადების სკოლის პედსაბჭოზე განხილვის შედეგად, სკოლის დირექტორის მიერ ბრძანების გამოცემით.

სასკოლო სასწავლო გეგმის გაუმჯობესების შეფასების კითხვარი №1

(მშობელთა და მასწავლებელთა)

		დიახ	არა	არ შევცვლიდი	შევცვლიდი (დააკონკრეტეთ რას)
1	იცნობთ თუ არა მისიას, ხომ არ ისურვებდით შეცვლას.				
2	იცნობთ თუ არა სადამრიგებლო პროგრამას და რა ცვლილებებს ისურვებდით				
3	იცნობთ თუ არა მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის შეფასების წესებს და რა ცვლილებებს ისურვებდით				
4	რა დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას ისურვებდით, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ან გაუთვალისწინებელი მომსახურებებიდან.				
5	იცნობთ თუ არა სასკოლო საათბრივ ბაღებს და რას შევცვლიდით?				
	დამატებით კომენტარი:				

სასკოლო სასწავლო გეგმის გაუმჯობესების შეფასების კითხვარი №2

(მოსწავლეთა)

1. სწავლების მიმდინარეობა

საგანი	ქართული ენა ლიტერატურა	მათემატიკა	ინგლ. ენა	რუსული ენა	ისტორია	გეოგრაფია	ქიმია	ფიზიკა	ბიოლოგია	სამოქ. განათლება	ბუნება	ხელოვნება	მუსიკა	ჭადრაკი	კლასის ხელმძღვანელი
რომელი საგნის/საგნების სწავლება მიმდინარეობს საინტერესოდ															
რომელი საგნის/საგნების სწავლება არ გაკმაყოფილებთ															
რომელ საგანში გიტარდებათ დამატებით მეცადინეობა და რა სიხშირით?															
გიტარდებათ თუ არა კლასის საათი? რამდენჯერ ჩატარდა?															
რამდენად იცნობთ შეფასების რუბრიკას. რომელი საგნის მასწავლებლები იყენებს ხშირად და გაცნობთ თქვენც?															
რომელი საგნის მასწავლებელი იყენებს განმავითარებელ შეფასებას? (ანუ განვიმარტავთ, რატომ მიიღეთ, ესა თუ ის ნიშანი)															

2. თქვენ რომ მასწავლებელი იყოთ, რას შეცვლიდით გაკვეთილზე?

(შემოხაზეთ სასურველი პასუხი ან ჩაწერეთ კომენტარი)

დისციპლინა	მეთოდика
<ol style="list-style-type: none"> 1. არ ვიყვირებდი (მიუთითეთ კლასი); 2. მივხედავდი დისციპლინას; 3. დისციპლინას მოცაწესრიგებდი; 4. ბავშვებს გაკვეთილებზე ხმაურის უფლებას არ მივცემდი; 5. რამდენიმე ბავშვს სხვა სკოლაში გადავიყვანდი; 6. ბავშვებს არ არ ვცემდი (მიუთითეთ კლასი); 7. ხმაურისთვის დასჯის მეთოდს შევიმუშავებდი; 	<ol style="list-style-type: none"> 1. განსხვავებული მეთოდებით ჩავატარებდი გაკვეთილს; 2. მივცემდი დროს, რომ დავალება გაეაზრებინათ; 3. მეტ ინტერესს გამოვიწვევდი ჩემი საგნის მიმართ; 4. ქიმიის და ფიზიკის გაკვეთილებს დავტვირთავდი ცდებით; 5. საინტერესოდ ავხსიდი მასალას; უფრო მეტად ჯგუფურ და ინდივიდუალურ მუშაობას ჩავატარებდი ; 6. ჩამორჩენილ ბავშვებს დამატებით დავიბარებდი; საინტერესოს გავხდიდი გაკვეთილს; 7. ყოველ კვირას ტესტირებას ან საკონტროლოს ჩავატარებდი;
ურთიერთდამოკიდებულება (სავარაუდო პასუხები)	შეფასება (სავარაუდო პასუხები)
<ol style="list-style-type: none"> 1. არ დავთრგუნავდი, რომ თითქოს გამოცდას ვერ ჩააბარებთ; 2. სიმკაცრეს გამოვიჩენდი; 3. სიხარულს შემოვიტანდი; 4. დრო და დრო თავისუფალ გაკვეთილებს ჩავატარებდი; 5. მეგობრული ვიქნებოდი; 6. მკაცრი ვიქნებოდი; 	<ol style="list-style-type: none"> 1. ხშირად ჩავატარებდი შემაჯამებელ გაკვეთილებს; 2. შევაფასებდი ობიექტურად; 3. ყველა ბავშვს გამოვკითხავდი ყოველდღე; 4. კომენტარებს გავაკეთებდი; 5. დავალებას წავაკითხებდი ყველას. 6. ყველა მოსწავლის დავალებას შევამოწმებდი პერიოდულად.

3. რომელი მასწავლებლის შეცვლას ისურვებდით და რატომ? დაასაბუთეთ

4. თქვენი აზრით როგორი უნდა იყოს მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობა?

მეგობრული;	საქმიანი;	უკონფლიქტო	პროფესიონალური;	ნდობა და პატივისცემა;	დედაშვილური	ცივილური;	ლოიალური;	დაუზარელი;	გულახდილი,	გახსნილი;	არ ვიცი		

5. როგორ ფიქრობთ, სკოლა, რომელშიც თქვენ დადიხართ, აკმაყოფილებს თქვენს მოთხოვნებს?

	აკმაყოფილებს	ნაწილობრივ	არ აკმაყოფილებს	უარი პასუხზე
დაასაბუთეთ				

6. ურთიერთობა

როგორი ურთიერთობა გაქვთ:	კარგი /ნორმალური	ცუდი	უარი პასუხზე	თუ ირდევთ თქვენი უფლებები ვისი მხრიდან	შენიშვნა
თანაკლასელებთან					
უფროსკლასელებთან					
გარეშე პირთან					
მასწავლებელთან					

7. სკოლაში თქვენი უფლებები დაცულია?

დიახ	არა	მიჭირს პასუხის გაცემა

8. დაასახელეთ თქვენი უფლებების დარღვევის შემთხვევები:

მუქარა	დაშინება	ფიზიკ.ძალადობა	სიტყვიერი ძალადობა	ფულის გამოძალვა	უხეშობა	საჩუქრის გამოძალვა